


წა ღრიგოლ იმრთისმეტყველი

ზღისა მისთჳს შვერგასისა*

ქოველ არს შარტჳლიამ, ოღეს-იგი მოვილა სული ჩმიდამ

გოწაჳთა გელა ლა მომიჳლთა ჟრისტასთა



დღესასწაულისა ამისთჳს მცირედ რამე სიბრძნის-მეტყუელებდეთ, რაჲთა სულიერად ვიდღესასწაულოთ. ქამეთუ სხუათა სხუად რამე აქუს დღესასწაულად და კრებად, ხოლო მსახურთა სიტყვსათა – სიტყუად, შემსგავსებული ჟამისაჲ. ნა არარად ესრეთ ახარებს კეთილისმოყუარეთა, ვითარ სულიერი კრებაჲ დღესასწაულთა საღმრთოთაჲ.

ზღესასწაულობენ ჰურიანცა, არამედ ძუელისაებრ ჩერილისა, რამეთუ ჴორციელსა სდევდეს ჰჳულსა და სულიერსა ვერ მიიწინეს. ზღესასწაულობენ წარმართნიცა, არამედ ჴორციელებრ და თჳსთა მათ ღმერთთაებრ და ეშმაკთა, რომელთაგანნი ზოგნი იგი ვნებათა და ცოდვათა მომპოვნებელ არიან, ვითარცა თვთ იგინივე წარმართნი იტყვან და ზოგნი ვნებათაგან და ცოდვათა პატივცემულ იქმნენ. ჴმისთჳსცა ვნებითა და ბილწებითა სავეს არს დღესასწაულობაჲ მათი და პატივი ღმერთთა მათთაჲ არს ცოდვაჲ, რომელთაცა მიაჩემებენ ვნებათა მათ რეცა სამკაულად.

ზღესასწაულობდეთ ჩუენცა, არამედ ვითარცა სათნო-უჩნს სულსა ჩმიდასა, ხოლო სათნო-უჩნს, რაჲთა ანუ ვიტყოდით რას კეთილთაგანსა, ანუ ვიქმოდით. ნა ესე არს დღესასწაულობაჲ ჩუენი, რაჲთა სულთა ჩუენთა რაჲ დავიუწჯოთ საქმეთაგან მტკიცეთა და წარუვალთა და არა განხრწნადთაგან და წარმავალთა, რომელნი-იგი კნინ ოდენ აჰამებენ საცნობელსა ჴორცთასა, ხოლო უმრავლესად ავნებენ და შეამწიკულებენ, ვითარცა ვიტყვ ჭეშმარიტებით, რამეთუ «კმა არს ჴორცთათჳს სიბოროტე მათი» (მთ. 6, 34). ნა რად საჭმარ არს აღისა უმეტესი ნივთი, ანუ მწეცისა უმრავლესი საზრდელი, რაჲთა უფროჲსადლა მძვნვარე იყოს და გულისსიტყვსა უმძლავრეს?

2. ჴმისთჳს უკუე ჯერ-არს სულიერითა წესითა დღესასწაულობად. ღოლო დასაბამად სი-

ტყვსა ესე ვინყოთ (დაღაცათუ მცირედ შორიელ არს სიტყუად ესე და შრომაჲ თავს-ვიდვით სიტყვსმოყუარეთათჳს და რეცა შესანელელებლად დღესასწაულსა ამას თანაურთოთ).

ჰვდეულსა პატივ-სცემენ შვილნი **ებრაელთანი** შჳულისდებითგან **შოსესით**, ვითარცა-იგი **პითაგორელნი** მეოთხესა რიცხუსა, რომელსა-იგი ფიცადცა იჴმარებენ და მერვესა და მეოცდაათესა **სიმონიანნი** და **მარკიანელნი**, რომელთაცა რიცხუსა ზედა ჟამეულთა რათმე დართა სახელ-სდებენ.

ღოლო შვდეულსა პატივ-სცემენ, ვითარცა ვთქუ, შვილნი **ებრაელთანი** ნუუკუე სხვთაცა რაჲთმე მოსწავებითა საიდუმლოჲსაჲთა, გარნა ვითარ ჩუენ გულისწმა-ვჰყოფთ ერთად ამისთჳს, რამეთუ ექუს დღე არსებად მოიყვანნა იმერთმან ნივთნი და აგებულებანი თითო-სახეთა არსთანი და ყოვლითა სამკაულითა «შემზადა და განაშუენა სოფელი ესე ხილული» (შესქ. 1, 1 და შემდ.) და «მეშვდესა დღესა განისუენა საქმეთა შისთაგან» (შესქ. 2, 3), ვითარცა გუაუწყებს სახელი ჰაბათისაჲ, რამეთუ «განსუენებად» ითარგმანების **ებრაელთა** ენისაგან.

ღოლო უმაღლესი თუ რამე არს სიტყუად ამათ საქმეთათჳს, სხუანი სიბრძნის-მეტყუელებდენ, და ესევეთარი იგი პატივი შვდეულისაჲ არა დღეთა ოდენ, არამედ წელიწადთაცა მიიწინეს. «შვდეული უკუე დღეთაჲ იქმს შაბათსა» (გამს. 16, 26), რომელ-ესე ყოველთა შვდეულთა მათ მიერ პატივცემულ არს, ვითარ-იგი ცომოვანისაცა აკრებაჲ შვდ დღე წეს არს მათდა, ხოლო შვდეული წელთაჲ მოიღებს «წელიწადსა მას განტევეებისა» (ლევ. 25, 4) და არა შვდეულთა ზედა ხოლო, არამედ შვდეულსაცა შვდეულთასა, დღეთაცა და წელიწადთა შვდეულთა.

ჰვდეულნი უკუე დღეთანი შეჰმზადებენ დღესა მას შვერგასესა, რომელი-იგი არს

* Corpus christianorum, Series graeca 36, Brepols, 1998. სიტყვა XLI, გვ. 218-294. თარგმანი ნმ. ექვთიმე მთაწმიდელისა.

წოდებული დღეც ჩმიდაა, ხოლო «შედეულთა შედეულნი წელთანი მოიყვანებენ წელიწადსა მას, რომელი იობილელ მათ მიერ წოდებულ არს წერილთა შინა, რომელსა-იგი ქუეყანისა დატევებაჲ აქუს და მონათა აზნაურებაჲ და მონაგებთა სყიდულთა ჯმნაჲ» (ლევ.25,8 და შემდ.), რამეთუ ესრეთ განწესებულ არს შჯუ-
 5 ლსა შინა, რაჲთა შესწირვიდენ იმრთისა არა პირმშოებასა ოდენ ნაყოფთა და ნამუშაკვეთა-სა, არამედ დღეთაცა და წელიწადთასა.

უსრეთ უკუე პატივცემულმან მან შედე-
 ულისა რიცხუმან პატივი **შეერგასისა** ამის
 დღისაჲ შემოიღო, რომელ არს **შარტკლიაჲ**.
 ჯამეთუ შედეული შედეულად შეწყობილი
 შობს ერგასისსა ერთითა ნაკლულად დღითა,
 რომელი-იგი მერმისა მის საუკუნისაგან მო-
 ვილეთ, რომელი-იგი მერვე არს და პირველი.
 15 ოფროსად ერთი და დაუწსნელი, რამეთუ
 ჯერ-არს მუნ დადგრომად განსუენებასა აქა
 მყოფთა სულთასა, «რაჲთა მიეცეს ნაწილი,
 20 შვდთა მათ და უფროსლა მერვესა» (ეკლ.11,2),
 ვითარცა ვიეთმე პირველ ჩუენსაცა სიტყუაჲ
 იგი **სოლომონისი** განჰმარტეს.

3. ღოლო პატივისა მის შედეულისა მრავალნი
 არიან წამებანი, ხოლო მცირედი მრავლისაგან
 მიგითხრა: შვდ ეწოდების პატიოსანთა სულ-
 თა, რამეთუ «საქმეთა მათ სულისათა სულად
 ჯერ-იჩინა **საია** წოდებაჲ» (ეს.11,2) და «განწმ-
 ედილ არიან სიტყუანი ოფლისანი შვიდ წილად,
 ვითარცა **ნავით** იტყვს» (ფს.11,7), და «მართალი
 ექუსგზის ჭირთაგან განერისო, ხოლო მეშვ-
 დესა არცა თუ მოიწყლის» (იობ.5,19), ხოლო
 «ცოდვილსა არა ხოლო თუ შვდგზის, არამედ
 სამეოცდაათშვდგზის შეენდვის» (მთ.18,21-22).

ნა წინააღმდეგომიცა ამისი ვთქუა(რამეთუ
 კეთილ არს უკეთურებისაცა ტანჯვაჲ): **«ხაენის-
 გან** შური იძია შვდგზის» (შესქ.4,15), ესე იგი არს,
 საშველი მიეწადა ძმის კლვისაჲ, ხოლო **«ხამექ-
 ისგან** – სამეოცდაათშვდგზის» (შესქ.4,24), რა-
 მეთუ მკვლელ იყო შემდგომად შჯულისა და
 დაშჯისა. ღოლო «ბოროტთა მათ მეზობელთა
 და გარემოხსთა მიეგების შვდ წილად წიალ-
 თა მათთა» (ფს.78,12). ზუალად «შვდთა ზედა
 სუეცთა განემტკიცების სახლი იგი სიბრძნი-
 საჲ» (იგ.9,1), და «შვდითა თუალებითა თუალი
 იგი **ხორობაბელისი** შეიმკვებოდა» (ზაქ.3,9). ნა
 შვდგზის დღესა შინა იტყვს **ნავით** ქებასა იმ-
 რთისასა (ფს.118,164). ნა «ბერნსა მას ესხნეს
 შვდ შვილ და ნაკლულევანი იგი შვილმრავალი

მოუძღურდა» (1მეფ.2,5).

4. ღოლო ჯერ-არს თუ ძუელთაცა საქმე-
 თა ჳსენებად, გულისწმა-ვჳყოფ მეშვდესა მას
 პირველთა მამადმთავართა შორის, **«ნუქს,**
 5 **მიცვალებითა პატივცემულსა»** (შესქ.5,24). **წუ-**
ლისწმა-ვჳყოფ ოცდამეერთესაცა **«წბრაჳამს,**
 მამადმთავრობითა დიდებულსა, უზემთაესისა
 საიდუმლოსა შემატებითა» (შესქ.12,1), რამეთუ
 სამგზის შვდეული ესევეითარსა მას რიცხუსა
 10 **შეჰმზადებს.**

წადროს უკუე ვინმე ახოვანმან გონებითა
 ახლისაცა **წდამის** მოსლვად – «იმრთისა ჩემი-
 სა და ოფლისა წესუ ჴრისტესა. ჴომელი-იგი
 ძუელისა მისგან და ცოდვასა შთავრდომილ-
 15 ისა **წდამისითგან** სამეოცდამეათშვდმეტედ
 აღირაცხვის» (ლკ.3,23) ნათესავთა – მეტყუ-
 ელებისაებრ **წუკაჲსა** აღმართმეტყუელისა.

«გულისწმა-ვჳყოფ შვდთა მათცა საყვრთა
წსუ წავენისა და ესოდენთავე გარეშემოვლა-
 20 თა და დღეთა და მღდელთა, რომლითა-იგი
 ზლუდენი **წერიქოჲსანი** დაირლუეს» (იოს.6,3).
 ნა კუალად შვდგზის მოქცევასა მას **«წღია**
 წინააღმართმეტყუელისასა ძესა მას ზედა **სა-**
რეფთელისასა» (3მეფ.17,21), რომლითა ცო-
 25 ცხლებაჲ მისცა მას და «მისსავე ესოდენსა სა-
 კლველსა მას ზედა და შეჰსაა წყლის დასხმასა,
 რაჟამს ცეცხლითა, იმრთივ მოვლენილითა,
 ჳესაწირავი იგი აღატყინა და მღდელნი იგი
 სირცხვლისანი დასაჯნა» (3მეფ.18,34), რო-
 30 მელთა ვერ უძღეს ესრეთ ქმნად თჳსითა წო-
 დებითა.

წგრეთვე «შვდგზის მსტორვასა მას ღრუ-
 ბლისასა ვაჳსენებ, რომელ ყრმასა მას უბ-
 რძანა» (3მეფ.18,43) და **წლისესა**, ამითვე რი-
 35 ცხვთა შეკუნცხვასა ძესა მას ზედა **სომან-**
იტელისასა, რომელმან-იგი სული მისდავე
 მოაქცია» (4მეფ.4,35).

წმასვე რიცხუსა გუასწავენს (წასანთლე
 იგი ტაძრისაჲ შვდგერი და შვდსასანთლწ»,
 გამს.25,31) და კუალად «მღდელი შვდ დღე
 სრულ-იქმნებინ» (ლევ.8,33; გამს.29,30). ნა
 «შვდ დღე კეთროვანი განწმდებინ» (ლევ.14,34)
 და «შვდ დღე ტაძრისა მის სატფურებაჲ იქ-
 მნებინ» (3მეფ.8,65). ნა «სამეოცდამეათესა წე-
 45 ლსა ერი იგი ტყუეობისაგან უკუე მოვიდა»
 (იერ.25,11-12; 29,10), რაჲთა, ვითარცა დღეთა
 შვდეული აღირაცხვის, ეგრეთვე ათეულთა შვ-
 დეული იქმნას და სრულითა-რე რიცხვთა შვ-
 დეულისა საიდუმლოსა პატივ-ეცეს.

ქადასათვს ვაჟსენებ ყოველსა ძუელსა სახესა? თავადმან შესუ, ჭეშმარიტმან მან და ყოვლად წმიდამან სრულებადმან, «იცის გამოზრდად უდაბნოსა ზედა ხუთითაცა პურითა ხუთათასთაჲ»(მთ.14,19) და «კუალად შვდითა პურითა ოთხათასთაჲ»(მთ.15,34). ნა ნეშტი იგი გამაძლართა მათ ნამუსრევი პირველი იყო ათორმეტი გოდორი და მეორედ შვდი სფვრიდი – ორივე ჯეროვნად და ღირსად შადლისა სულისა ჩმიდისა.

ნა შენცა, იმრთისმოყუარეო, თვსაგან თუ გამოჰნახვიდე, მრავალი ჰპოვო რიცხუსა ამას ზედა შვდეულისასა, რომლისაგან სცნა უღრმესიცა ძალი. ღოლო რომელ-ესე ან, ჟამსა ამას, საჰმარ იყო, ვთქუ, რაათა სცნათ, ვითარმედ ამით სახითა და წესითა, ანუთუ უღრესითა რაამე განწესებულ იყო ძუელსა შინა შჯულსა **შეერგასისა** ამის დლისა პატივი.

იუენცა უკუე პატივ-ვსცემთ ამას და სხუად მრავალი შჯულსა მას შინა სახედ აღესრულებოდა და საიდუმლოდ საქმეთად მათ ჩუენდა მოიწეოდა. წნ უკუე ესოდენი დლისა ამისთვს ვთქუთ, ღოლო ან შემდგომსა ამას სიტყუასა ვიტყოდით:

5. **შარტვლიასა** ვდღესასწაულობთ და სულისა ჩმიდისა მოსლვასა და პაემანსა აღთქუმისასა და სასოებისა აღსრულებასა. ნა საიდუმლოდ ესე რაბამ რაამე დიდ არს და რაამე პატიოსან!

ჯორციელნი იგი განგებულეზანი ჴრისტესნი აღესრულნეს, უფროდსა ჴორციელისა მის ჩუენდა მოსლვისა, რამეთუ მიძნავს თქუმად ჴორციელებისა აღსრულებად და არცა დამარწმუნოს ვინ თქუმად, თუ აღიძარცუნა ჴორცნი, არამედ ჩუენ თანა ქცევისა აღესრულნეს განგებანი, ამაღლდა რაჲ ზეცად.

ღოლო სულისა ჩმიდისა მოსლვად ან იწყებს. ნა რომელნი იყვნეს ჴრისტეს ჩუენდა მოსლვისა განგებანი? ჴალწულისაგან შობად, ბაგასა მიწოლად, სახუეველითა შეხუევაჲ, ანგელოზთა იგი დიდებისმეტყუელებაჲ, მწყემსთა სრბად, ვარსკვლავისა სლვად, მოგუთა ძლუნითა თაყუანისცემაჲ, **სეროდესი** ჩჩვლთა კლვად, შესუდსი **სგვბტედ** სივლტოლად და კუალად **სგვბტი** მოქცევაჲ, აღსრულებად მის მიერ წესთა მათ შჯულიერთად, მერმე ჟამსა თვსსა ჩათლისლებად, წამებაჲ – ზეცით მოსრული; გამოცდაჲ უდაბნოსა ზედა, შეურაცხებანი იგი და დევნულებანი და ქვით სროლანი, რომელნი

შეემთხუეოდეს **ჴურიათაგან** ჩუენთვს. ქამეთუ ჯერ-იყო, რაათა სახჴ მოგუეცეს ჩუენ ამისთვს ტანჯვათა და დევნულებათა მოთმინებისად. შერმე განცემაჲ იგი მონფისა მისგან განმცემელისა, შემშჴუალვაი ჴუარსა ზედა, დადებად საფლავსა შინა, აღდგომაჲ მესამესა დღესა, ამაღლებაჲ ზეცად და დაჯდომაჲ მარჯუენით შამისა. სე ყოველი თავს-იდვა სახიერმან მან ჩუენთვს და ჩუენისა ცხორებისათვს.

10. წნცა მრავალი შეემთხუევის ჴრისტეს მოძულეთაგან შეურაცხებანი და გმობანი და თავს-იდებს(რამეთუ სულგრძელ არს და მრავალმონყალე), ღოლო ჴრისტეს მოყუარეთაგან – პატივი და დიდებაჲ. ნა ადროებს, ვითარცა-იგი მათთვს რისხვასა, ეგრეთვე ჩუენთვს სიტკბობასა, რაათა მათ მისცეს ჟამი სინანულისად და ჩუენი, რაათა გამოცადოს წადიერებაჲ და მისა მიმართ სურვილი. ნა უკუეთუ არა მოწყინე ვიყვნეთ ჭირთა შინა და იმრთისმსახურებისათვს მოლუანებათა, რამეთუ ესრეთ არს პირველითგან საღმრთოჲსა განგებულებისა სიტყუად და მიუწთომელთა მათ განკითხვათა მისთა უფსკრული.

ჴრისტესნი უკუე კაცთა თანა ქცევისა საქმენი და დიდებულეზანი ესევითარნი არიან და შემდგომნი ვიხილნეთ უდიდებულესნი და გვზილავსმცა. ღოლო სულისა ჩმიდისანი: მოვედინ ჩემდა სული ჩმიდა და მომეცინ სიტყუად, რაოდენცა მნებაეს. ღოლო ესოდენი თუ არა, გარნა რაოდენი ჟამსა ამას შეჴგავს. სე, მრწამს, ვითარმედ მოვიდეს ჩუენდა მეუფებრ, არა თუ მონებრ, არცა მოლოდებითა ბრძანებისაჲთა, ვითარ-იგი ვიეთნიმე ჴგონებენ. ქამეთუ მიეფინების, ვინაჲცა ენებოს და რომელთაცა ზედა ჯერ-უჩნდეს და ოდესცა და რაოდენცა ჰნებაენ. სრეთ ჩუენ გულისჴმა-ვჴყოფთ და ვიტყვთ სულისათვს ჩმიდისა შადლითა შისითა.

6. სულსა ჩმიდასა რომელნი დაბადებულად იკადრებენ თქუმად, მგმობარნი არიან და მონანი ბოროტნი და ბოროტთა უბოროტესნი. ქამეთუ მონათა ბოროტთაჲ არს საქმჴ ესე – შეურაცხებაჲ მეუფებისაჲ და განდგომილებაჲ უფლებისაგან და მათ თანა მონად შერაცხვად მთავრისა მის და აზნაურისაჲ. ღოლო რომელთა იმრთად ჰრწმენეს, საღმრთო არიან იგინი და ბრწყინვალე გონებითა.

ღოლო რომელნი ქადაგებდენცა, უკუეთუ კეთილითა და ჭეშმარიტითა სიტყვთა და შემსგავსებულითა მართლმეტყუელებითა ქა-

დაგებდენ, იმრთიფშუენიერ არიან და მაღალ. ოკუეთუ კულა მდაბალ და მკოდოვ იყოს სიტყუა მათი და ცთომილ, არა კეთილად განმგებელ არიან იგინი, რამეთუ თიჟასა არწმუნეს მარგალიტი და სასმენელთა ხენეშთა – ჳმა 5 ქუხილისა და თუალთა უძლურთა – მზღ და საზრდელი მტკიცე თავთა თვსთა, რომელთა ჯერეთ სძღ უჳმდა წოვნად. ჯერ-იყო მათდა მცირედ-მცირედ წარმატებად წალმართ და მიწვენად მაღლით კერძო და ნათლითა ნათლისა მოგებად და ჭეშმარიტებითა მიწვენად ჭეშმარიტებასა. Ⴀწ უკუე ჩუენცა სრულსა მას წუთ ერთ დრო ვსცეთ სიტყუასა, რამეთუ არლა არს ჟამი და ესრეთ სიტყუა-ვყოთ მათდა მიმართ.

7. ოკუეთუ არცა დაუბადებულად აღიარებთ სულსა ღმიდისა, ჳ ესე ვითარწო კაცწო, არცა უჟამოდ, განცხადებულად წინააღმდგომისა მისდა არაწმიდისა სულისა და არს საქმე ესე, რამეთუ ადგილ-ეცით შურსა მას საღმრთოსა კადნიერებით თქუმად ჭეშმარიტისა. ღოლო უკუეთუ ესოდენ მებრ ცოცხალ ხართ, რაათა ცხადსა მას უღმრთოებასა ევლტოდით და გარეგან მონებისა გრწმენეს, რომელი-იგი თქუენცა აზნაურებასა მოგანიჭებს, შემდგომი 25 ამისი თქუენცა გულისჳმა-ყავთ სულისა ღმიდისა მიერ და ჩუენ თანა.

ქამეთუ მრწამს, ვითარმედ კნინ ოდენ არს თქუენ თანაცა მაღლი შისი, და ესრეთ, ვითარცა მოყუასთა თანა, ზრახვა-ვყო თქუენდა მომართ. Ⴀწუ მომეცით ადგილი შორის მონებისა და უფლებისა, რაათა მუნ განვანესო პატივი სულისა და, გარწა არა იპოვების. Ⴀწ უკუე ევლტოდით თუ მონებასა, საცნაურ არს, ვითარმედ უფლებასა განანესოთ საძიებელი ესე.

ღარწა სიტყუანი იგი ამის ჯერისანი გეძნელებიან? და ჳმასა მას წესიერსა ერიდებითა და «ლოდ შებრკოლების გექმნების და კლდე საცთურისა» (ეს.8,14; რომ.9,33), ვითარცა ჴრისტე ექმწა ურწმუნოთა. ჴაცობრივისა უძლურებისა და არს ვნება და ესე. Ⴀავეზავნეთ უკუე ურთიერთას სიყუარულით. ჴიქმწნეთ ძმათმოყუარე უფროსდა, ვიდრელა თავთა თვსთა მოყუარე. შომეცით აღსაარებად ძალსა 45 მას იმრთეებისასა და ჳმამაღლად ქადაგებად და მოძლურებად თუ ვერ შემძლებელ ხართ, შეგინდოთ.

Ⴀღიარეთ ერთი ჴუნება ღმიდისა სამებისა

სიტყუთა ჯეროვანითა და ვერ ჳმამაღლად ქადაგებისათჳს, ვითარცა უძლურნი განგკურნეთ. Ⴀე, ხენეშ არს და ფრიად პირუტყუებრივ, უკუეთუ სულითა მრთელ იყოს და ცხოველ და მეტყუელებად მცონარე იყოს და საუნჯესა მას 5 მაღვიდეს, ვითარმცა შურდა სხუათათჳს და ემინოდამცა წმიდაყოფად ენისა თვსისა, გარწა ჩუენდაცა უჯერო არს განწირვად მათდა და რომელ-იგი სულმოკლებისათჳს ვაბრალებთ 10 მათ, ჩუენ მიერ ჩუენებად სულმოკლებისა.

8. Ⴀწ უკუე, ჳ ძმანო, ჴრთლმრთეებად აღიარეთ წმიდა და სამება და გნებაჳს თუ, ჴრთბუნებად და ჴრთარსებად. Ⴀა ქადაგებისათჳს გიხუაიშნოთ სულისაგან ღმიდისა. ქამეთუ 15 მრწამს, რაათა რომელმან პირველი მოგცა, მოგცეს მეორეცა და, უფროსად, უკუეთუ მოწინება და იყოს სულიერი და არა ცილობა და საეშმაკო, წინააღმდგომად იგი.

ჴულადცა ვთქუა განცხადებულად და მოკლედ: ნუცა ჩუენ გუაბრალობთ ჳმამაღლად ქადაგებისათჳს (რამეთუ არცა ერთი შური არს კეთილისა საქმისა და არცა ჩუენ გაბრალოთ მღუმრიად აღსაარებისათჳს, უკუეთუ ოდენ სხუთაცა გზითა ერთსა მას სავანესა მიიწეოდით. ქამეთუ არა თუ ცილობით ძლევასა 25 რასმე ვეძიებთ, არამედ მოგებად ძმათა მოსწრაფე ვართ, რომელთა-იგი განყოფილებითსათჳს გუელმის.

ღსე სიტყუანი თქუენდა მიმართ არიან, რომელთა თანა ნაწილსა ცხოვრებისასა ვჳპოვებთ რას, რომელნი-ეგე მრთელ ხართ სარწმუნოებასა ძისასა, რომელთა-ეგე დაღაცათუ ცხოვრება სათნო-გვწწს, არამედ სიტყუანი თქუენნი ყოლადვე არა საქებელ არიან, რომელნი-ეგე შადლითა და ძლიერებითა სული- 35 სა ღმიდისა და სცხონდებით, სულიცა ღმიდა და მოიგეთ მართლალსაარებითა, რაათა არა ილუწიდეთ ოდენ, არამედ რაათა ჴჯუულიერადცა იყოს მოღუანება თქუენი, რამეთუ ესრეთ იქმნების გვრგვწწსნობა. Ⴀსე მოგეცინ მოქალაქობისა თქუენისა სასყიდელი – აღსაარება სრული სულისა ღმიდისა და ქადაგებად ჩუენ თანა და ჩუენებრვე, ვითარცა არს ღირს და სამართალ.

ღიკადრებ უმეტესადცა თქუმად თქუენთჳს სიტყუად იგი მოციქულისა, რომელი თქუა **რომაელთათჳს**: ესოდენ მოწლედ გუღსმოდგინე ვარ თქუენთჳს წესიერისა მაგის მოსილობისათჳს და მარხვითა განყვთლებუღისა ფერისა

და სულიერთა მაგათ კრებულთათჳს და ქალ-
ნულებით სინმიდისა და მრავალთა მათ ღა-
მისთევათა და ფსალმუნებათათჳს და გლახ-
აკთმოყუარებისა და ძმათმოყუარებისა და
უცხოთმოყუარებისათჳს. «ესოდენ მელმის
თქუენთჳს, ვიდრელა ჯერ-მიჩნს, უკუე-
თუმცა შემემთხვა ტანჯვაჲ რამე და სას-
ჯელი» (რომ.9,3) და თქუენმცა ოდენ განემტ-
კიცენით მართლალსაარებასა ზედა და ზო-
გადმცა დავედგით და შართლმადიდებლობით
უგალობდით ჩმიდასა სამებასა.

ჴოლო სხუათა მათთჳს რაჲ-მე ვთქუა, რო-
მელნი-იგი სრულიად მკუდარ არიან (რომელთა
აღდგინებაჲ ჴრისტესგან ოდენ ეგების, ცხოვ-
ელსმყოფელისა მის მკუდართაჲსა ძლიერები-
საებრ მისისა)? რომელნი-იგი ბოროტად განი-
ყოფვიან ადგილითა და სიტყვთა შეერთებულ
არიან და ესოდენ ურთიერთას წინააღუდგები-
ან, ვითარცა თუალნი ელაზნი ერთსა თუ რასმე
ჰხედვიდიან და აცილობდიან ურთიერთას სხ-
უად და სხუად ხედვსათჳს? ხოლო ან ამათთჳს
არა განდრეკილობაჲ თუალთაჲ ჯერ-არს თქუ-
მად, არამედ სრულიადი სიბრმე წვალებისაგან
ბოროტისა მოსრული მათ ზედა.

წნ უკუე ვინაფთგან მცირედნი ესე სი-
ტყუანი ჯეროვნად წარმოვთქუენ თქუენდა
მომართ, კაცთა მაგათ ცთომილთა, კუალად
სულისა მიმართ ჩმიდისა მივიქცე სიტყუად
და თქუენცა, უკუეთუ გნებაჲს ცხორებაჲ, თა-
ნა-მომიდეგით.

9. სული ჩმიდაჲ იყო მარადის და არს და
იყოს. წრცა დასაბამი აქუნდა, არცა დასასრუ-
ლი აქუნდეს, არამედ მარადის შამისა თანა
და ძისა შეწყობილ არს და შეერთებულ და
შათ თანა აღრაცხულ, რამეთუ არცა ჯერ-იყო,
რადთამცა აკლდა ოდესვე ანუ ძჳ შამასა, ანუ
სული ჩმიდაჲ ძესა, რამეთუ უზეშთაესისა შის
არამცა დიდებულ იყო იმრთეებაჲ, უკუეთუ-
მცა უკუანაჲსკნელ მოსრულ იყო საგსებად
სრულებისა, რეცა შენანებითა პირველისა მის
ყოფისაჲთა.

სყო უკუე მარადის სული ჩმიდაჲ, მიმცემე-
ლი კეთილთაჲ, არა მიმღებელი; სრულმყოფე-
ლი, არა სრულყოფადი; აღმავსებელი, არა
აღვსებადი; წმიდამყოფელი, არა წმიდაყოფადი;
იმერთმყოფელი, არა იმერთყოფადი; ძავადი
თავისა ძჳსისაგან შეუცვალებელ და, რომელ-
თა თანა შეერთებულ არს, – შამისა და ძისა.

ცხილაჲ, უჟამოჲ, დაუტევნელი, უცვალე-

ბელი, გამოუსახველი, უზომოჲ, გამოუკულებ-
ელი, შეუხებელი, თვთმავალ, ვიდრეცა ჯერ-
უჩნდეს, მარადის ჯერმჩინებელ, თვთმფლო-
ბელ, თვთძლირ, ყოლად ძლიერ (დალაცათუ
პირველისა მის მიზეზისა მიმართ – შამისა,
ვითარცა-იგი შხოლოდშობილისა ძისა საქმე-
ნი, ეგრეთვე სულისა ჩმიდისანი აღინევიან);
ცხორებაჲ არს და ცხოველსმყოფელი, ნათელი
და ნათლისა მომანიჭებელი; თვთსახიერ და წყ-
არო სახიერებისა; სული წრფელი, სული ჩმი-
დაჲ, ცფალი ცხოველსმყოფელი, მომავლინე-
ბელი, განმჩინებელი, ტაძარმყოფელი, სადა
ჯერ-იჩინის დამკვდრებად.

ჩინამძღუარი ცხორებისაჲ, მოქმედი, ვი-
თარცა ენებოს; განმყოფელი შადლთაჲ, «სუ-
ლი შვილებისაჲ, ჭეშმარიტებისაჲ, სიბრძნისაჲ,
მეცნიერებისაჲ, გულისწამისყოფისაჲ, იმრ-
თისმსახურებისაჲ, განზრახვისაჲ, ძლიერე-
ბისაჲ» (ეს.11,2), შიშისა იმრთისაჲ, ვითარცა
წინაჲსწარმეტყუელი წარმოიტყჳს, რომლისა
მიერ შამაჲ იცნობების და ძჳ იდიდების და
შათ მიერ ხოლო საცნაურ არს, ერთი არსებაჲ,
ერთი უფლებაჲ, ერთი თაყუანისცემაჲ, ერთი
ძალი, ერთი სრულებაჲ, ერთი სინმიდე.

25 ჯად მიჴმს მრავლისმეტყუელებაჲ? ყოვე-
ლივე, რაჲ-იგი არს შამისაჲ, ძისაჲცა არს,
თვნიერ უშობელობისა; ყოველივე, რაჲცა არს
ძისაჲ, სულისა ჩმიდისაჲ არს, თვნიერ შობი-
საჲ, რამეთუ შამაჲ ხოლო არს უშობელ და
30 ძჳ – შობილ და სული ჩმიდაჲ – გამომავალ.
ხოლო ესე თვთებანი არა თუ არსებათა განჰყ-
ოფენ, არამედ სამგუამოვნებასა გამოაჩინებენ.

10. ჰენ, უკუე, ბოროტისა მეტყუელო, ინ-
ურთი ცილობისა სიტყჳსგებათა, ხოლო მე
მართლმეტყუელებისა სარბიელსა წარვჰ-
მართებ. სატივ-ეც შენცა, უბადრუკო, დღესა
ამას სულისასა; იჰყარ მცირედ ენაჲ, უკუეთუ
ეგების. სხუათა ენათათჳს არს სიტყუად ჩუენი.
შათგან შეიკდიმე, ანუ შეიშინე, რამეთუ ცე-
40 ცხლითა იხილევებიან. ჳღეს შართლმადიდე-
ბლობით გამოვიტყოდით, ხვალე ფილაფოზო-
ბით ჴელოვნობდი; დღეს ვდღესასწაულობდეთ,
ხვალე უშუერებით იმღერდი. ხუენნი ესე სი-
ტყუანი საიდუმლონი არიან, შენნი ურაკპარაკ-
თა შეეტყუებიან. ხუენნი ესე ჴკლესიათა შუე-
ნიან, შენნი ეგე უბანთა ზედა ითქუმოდინ. სე
საიდუმლონი შეისმინონ ფრთხილთა გონები-
თა, შენნი ჴრახვანი მომთრვალეთა მიეთხ-
რნენ. სე მოძღურებანი მოსწრაფეთა და იმ-

რთისმსახურთა გულისწმისსაყოფელად, შენნი ეგე გმობანი მბრძოლთა სულისათა საცთურად. ღოღო ვინაფთგან უცხონი იგი და მავნებელნი ზრახვანი განვაქარვენით, მოვედით და დავამტკიცნეთ ჩუენნი ესე.

11. სული ჩმიდაა და ცხოველსმყოფელი პირველად აჩუენებდა საქმეთა ძლიერებისა შისისათა ანგელოზებრთა მათ ზეცისა ძალთა ზედა, რაოდენიცა არიან იმრთისა მიერ და გარემოვს იმრთისა. ჩამეთუ არა ვინაა არს სხუაგნით სრულებად მათი და ბრწყინვალეობად და ბოროტისა მიმართ აღუძრველობად, გარნა სულისაგან ჩმიდისა.

შერმე აჩუენა შადლი ძესი მამადმთავართა შორის და წინააღმართმეტყუელთა, რომლისა მიერ ვიეთმე იხილეს იმერთი, ვითარცა ძალ-ეღვა და მეცნიერ იქმნეს. სხუათა კუალად ყოფადნი იგი საქმენი ეუწყნეს, რამეთუ განათლდეს გონებანი მათნი სულისა მიერ ჩმიდისა და ვითარცა წინაშე თუალთა მათთა ჰხედვიდეს მომავალთა მათ საქმეთა, რამეთუ ესევეთარი არს შადლი იგი და ძალი სულისა ჩმიდისა.

შერმე კუალად მოეფინა მოწაფეთა ზედა ჴრისტესთა(რამეთუ დაუტეო ჴრისტესთვს თქუმად, რომლისა თანა იყო განუშორებელად; არა თუ შემწეობით, არამედ, ვითარცა თანასწორსა პატივითა, თანა-ჰყვებოდა), ხოლო მოწაფეთა მისთა მოეფინა სამ სახედ, ვითარცა შემძლებელ იყვნეს შეწყნარებად, და სამთა ჟამთა: პირველ ჴრისტეს დიდებისა ვნებითა მით ჴუარისაათა, მერმე კუალად შემდგომად, დიდებისა შისისა მკუდრეთით აღდგომითა და კუალად შემდგომად, ზეცად ამალლებისა და მარჯუენით შამისა დაჯდომისა.

შა მოასწავებს პირველსა მას კურნებად იგი სენთად და არანმიდათა სულთა განსხმად, რომელ-იგი საცნაურ არს, ვითარმედ არა თვნიერ სულისა ჩმიდისა იქმნებოდა. ღოღო მეორესა აჩუენებს შემდგომად აღდგომისა შებერვად იგი, ოდეს ჰრქუა: მიიღეთ სული ჩმიდაა, რომელი განცხადებულად იყო საღმრთოვსა შადლისა მინიჭებად. შა მესამედ – აწინდელი ესე განყოფად ცეცხლისა ენათად, რომელსაცა ვდღესასწაულობთ.

წარნა პირველი იგი მცირედ-რე, ხოლო მეორე – უმდიდრესად და უცხადესად, ხოლო აწინდელი ესე – სრულებით. ჩამეთუ არა საქმითა ოდენ შეწევისაათა მოვიდა მათ ზედა სული ჩმიდაა, ვითარ-იგი პირველ, არამედ

წრსებით, ვითარცა ვინ თქუას, თანამყოფად და თანამოქალაქედ. ჩამეთუ ჯერცა-იყო და შუენიერ, ვინაფთგან ძე იმრთისაა ჴორციელად მოვიდა ჩუენდა, სულისაცა ჩმიდისა ჴორციელად გამოჩინებად. შა ჴრისტე რად ამალლდა ზეცად, შისი ჩუენდა მომართ გარდამოსლვად, მომავალი, ვითარცა ოფალი და მოვლინებული, ვითარცა წინაარსი იმრთისაა და არა წინააღმდგომი. ჩამეთუ ესევეთარნი ესე სიტყუანი არა ჴუნებასა განჰყოფენ, არამედ ერთობასა წრსებისა და ნებისასა მოასწავებენ.

12. წმისთვს შემდგომად ჴრისტესა რადთა ჩუგეშინისმცემელი ჩუენ არა გუაკლდეს, ხოლო სხუად ჩუგეშინისმცემელი, რადთა შენ სწორებად პატივისაა გულისწმა-ჰყო. ჩამეთუ სხუად ვითარცა ჩუენ ზე ითქუმის, ხოლო ესე თანამფლობელობისა, არა თუ შეურაცხებისაა არს სახელი. ჩამეთუ სხუად არა უცხოთა, არამედ ერთარსთა ზედა ვიცი თქუმულად.

ღოღო «ენითა თვსებისა მისთვს სიტყვსა მიმართ, ხოლო ცეცხლისაათა»(საქმ.2,3 და შემდ.) – გინათუ განწმენდისათვს(რამეთუ იცის სიტყუამან ჩუენმან ცეცხლიცა განწმენდელი, ვითარცა მრავლით კარძო საცნაურ არს, უკუეთუ ვინ გამოეძიებდეს), გინათუ არსებისათვს. «რამეთუ ცეცხლ არს იმერთი ჩუენი, ცეცხლ, შემწუველ ყოვლისა ბოროტისა»(მეორ.სჯ.4,24), დაღაცათუ მწვალებელნი კუალად შემწფოთნებიან ჴრთარსებისაგან შეიწრებულნი.

ღოღო «მსხდომარეთა ზედა მოვიდა მოციქულთა»(საქმ.2,3), რამეთუ შეუფე არს და წმიდათა ზედა განისუენებს, «რამეთუ საყდარცა იმრთისა არიან **ჩერობინნი**»(ეს.37,16).

ღოღო «ქორსა მას ზედა»(საქმ.1,13) ზე აღსლვისათვს შემწყნარებელთადასა და ქუეყანით ამალლებისა, რამეთუ წყლითაცა საღმრთოთა დაირთვიან ზესკნელნი რადმე. ჴომელთა მიერ იდიდების იმერთი, ვითარცა **შავით** გალობს; «და თავადმან ჴესუ ქორსა ზედა ზიარ-ყვნა მოწაფენი მაღალთა მათ საიდუმლოთა»(ლკ.22,22), «რადთა ესე მოესწავოს, ვითარმედ ზოგს-რე გარდამოსლვად ჯერ-არს იმრთისაა ჩუენდა, ვითარცა პირველ **შოსეს**-ზე იქმნა»(გამს.3,2) და ზოგს-რე ჩუენი აღსლვად ქუეყანით, რადთა ესრეთ იქმნას ზიარებად იმრთისაა კაცთა მომართ ღირსებისა შეერთებითა.

ღოღო ვიდრემდის ორივე თვსსა წესსა ზედა

ეგოს, იგი – სიმაღლესა და ესე – სიმდაბლესა, შეუზავებელ არს სახიერება იგი და კაცთ-მოყუარება არა თანაზიარ. «თა დანახეთქი დიდი არს შორის და წიაღუვალისა» (ლკ.16,26) არა ხოლო თუ მდიდრისა მის **ზაზარესგან**, და სანადელთა მათ წიაღთაგან **სბრაჰამისთა** განმყოფელი, არამედ დაბადებულისა ამის და განხრწნადისა ბუნებისა დაუბადებელისა მისგან და შეურყევლისა.

13. ოსე საიდუმლოდ სულისა წმიდისა იქადაგა პირველ წინაფსწარმეტყუელთაგან, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: «სული ოფლისა ჩემ ზედა» (ეს.61,1). თა «განისუენონო მის ზედა შვდთა სულთა» (ეს.11,2), რომელ-იგი არიან შადლნი სულისა წმიდისანი.

თა «გარდამოვდა სული ოფლისა და უძლოდა მათ» (ეს.63,14). თა «სულმან მეცნიერებისამან აღავსო **ესეელიელ**, ხუროთმოძღვარი იგი კარვისა» (გამს.35,30), და «სულმან აღიცაო **ოლია** ეტლითა ცეცხლისადათა» (4მეფ.2,11), და «ითხოვა იგი **ოლისე** მრჩობლად მოძღუროსა მისგან» (4მეფ.2,9), და «სული შენი სახიერი მიძლოდენ მე და სულითა წმიდითა დამამტკიცე მე» (ფს.50,14), – **თავით** ღალადებს. ოსე აღითქუა პირველ **ოველის** მიერ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: «მივჰფინო სულისაგან ხემისა ყოველსა ზედა ჯორციელსა (ესე იგი არს მორწმუნესა) და წინაფსწარმეტყუელებდენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი და შემდგომი ამისი» (იოველ.3,1).

ხოლო უკუანაასკნელ სახიერმან და ტკბილმან ოსეს აღითქუა მოცემად მონაფეთა და ჰრქუა, ვითარმედ: «სხუად ჩუგეშინისმცემელი მოგივლინო, რომელი დაადგრეს თქუენ თანა უკუნისამდე, სული იგი ნეშმარიტებისა» (იოზ.14,16-17), «ოდეს-იგი ადიდებდა შამასა და იდიდებოდა შამისა მიერ» (იოზ.8,54) ჟამსა მას ცხოველსმყოფელისა ვნებისასა. თა აღთქუმად იგი ტკბილ იყო და მდიდარ, რამეთუ უკუნისამდე მათ თანა ყოფასა აუნყებდა, გინათუ აწვე ჟამითი ჟამად ყოფადთა ღირსთა თანა, და კუალად მერმესაცა საუკუნესა, რომელნიცა ღირს-იქმნენ კეთილთა მისთა. ოკუეთუ სრულებით დავიმარხოთ ჩუენ თანა შადლი შისი კეთილითა მოქალაქობითა და არა განვიშოროთ ჩუენგან სიმრავლითა ცოდვათადათა, რამეთუ რავდენცა მცნებათა ჴრისტესთა აღვასრულებდეთ, მდიდრად არს ჩუენ თანა შადლი იგი სულისა წმიდისა და

რაოდენცა მივერჩედთ ცოდვასა, განგუეშორებთ შადლი იგი სახიერისა შის.

14. ოსე სული წმიდად ჰემოქმედ არს ძისა თანა დაბადებულთა და აღმასრულებელ ოღდგომისა, ვითარცა იტყვს წინაფსწარმეტყუელი, ვითარმედ: «სიტყვთა ოფლისადათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა შირისა შისისადათა ყოველი ძალი მათი» (ფს.32,6). თა კუალად წერილ არს: «სული წმიდად, ჴომელმან მქნა მე» და: «შადლი ყოვლისა მჰყრობელისა, ჴომელი მასწავებს მე» (იოზ.33,4). თა კუალად იტყვს: «გამოავლინო სული ჰენი, დაჰბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისა» (ფს.103,30).

ოსე სული წმიდად აღასრულებს სულიერსა მას მეორედ შობასა. თა ესე ისწავე ბრძანებისაგან ოფლისა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: «ვერვის ჯელენიფების სასუფეველისა ხილვად ანუ მოღებად, უკუეთუ არა იშვეს წყლითა და სულითა» (ინ.3,5), და პირველისა მის შობისა მწინკული განიწმიდოს, რომელი-იგი ღამისა და ბნელისა არს ნივთი. თა განიწმიდოს იგი ნათლით შემოსილითა მით და ბრწყინვალითა განახლებითა და მოქალაქობითა, შემსგავსებულთა შადლსა მას მეორედ შობისასა, რომელსა-იგი თვსაგან კაცად-კაცადი შეიმზადებს.

ოსე დიდებული და ყოვლად წმიდად ცხოველსმყოფელი სული სახიერი არს და ყოვლად ბრძენი და კაცთმოყუარე. ოკუეთუ მწყემსი მიიღოს, ჰყოფს მაგალობელ, სულთა არანმიდათა მაოტებელ და «განაჩინებს მას მეფედ **ოსერელისა**» (1მეფ.16,12). ოკუეთუ მეთხე პოვოს, მსხეპელ ლელუსელისა, წინაფსწარმეტყუელად სრულ-ჰყოფს. «**თავით**» (1მეფ.16,11) და «**სმოს**» (ამოს.1,1) მოიწესენ.

ოკუეთუ ყრმად გონიერი შეიწყნაროს, მსაჯულ მოხუცებულთა ყვის იგი უმეტეს ჰასაკისა. «ნამებს **თანელი**» (დან.13,45), «რომელი-იგი მღვმესა შინა ლომთა მძლე ექმნა» (დან.14,31). ოკუეთუ მეთევზურნი პოვნეს, მესათხეველ ჰყოფს ყოვლისა სოფლისა, რადათა ბადეთა შინა სიტყუათა მათთასა შეანყუდინენ ყოველნი წარმართნი. «იხილე **სეტრე** და **სნდრია** და ძენი იგი ჴუხილისანი» (მთ.4,18-21), რომელთა სულიერნი მოძღურებანი იქუხნეს.

ოკუეთუ მეზუერეთა მიემთხვოს, მონაფეზად მოიყვანებს და სულთა პირმეტყუელთა ვაჟარ ჰყოფს მათ. იტყვს ამას **შათე**: «რომელი-იგი გუშინ იყო მეზუერე და დღეს არს

შახარებელ»(მთ.9,9). ოკუეთუ მდევარი პოვოს მჭურვალჳ, შესცვალეს შურსა მისსა და «ჰყოფს **სავლედ სავლეს** ნილ. **ნა** ესოდენ წარჰმართებს იმრთისმსახურებად, რავდენ-იგი პირველ მდევარ იყო და უმეტესცა მრავალ-ნილად»(საქმ.8,3).

უსე სულიცა არს სახიერებისა და სიმშვიდისა და შეჰრისხავსცა ცოდვილთა. **ნა** უკუე მოვიგოთ იგი მშვიდად და ტკილადა და ნუ მრისხანედ. **ნა**ღვიაროთ შართლმადიდებლობით პატივი და დიდებაჲ შისი და გმობისაგან ვივლტოდით, რათა არა მოიწიოს ჩუენ ზედა რისხვაჲ შეუნდობელი.

ნამის სახიერისა და **ნა**ხოველსმყოფელისა სულისა შადლი და ძლიერებაჲ კადნიერ მყოფს მე დღეს ქადაგებად თქუენდა სიტყუასა ჭეშმარიტებისასა. ოკუეთუ არარად ძვრი შემემთხვოს, მაღლი იმერთსა; უკუეთუ შემემთხვოს, ეგრეთცა მაღლი შისა; ერთი იგი, რათა ჰრიდოს მოძულეთა ჩუენთა და მეორე ესე, რათა ჩუენ წმიდა-გუყვნეს, და მოვილოთ ესე შადლად ქადაგებისა მის სახარებისა – სრულყოფად დათხევითა სისხლთაჲთა.

ჴუალად ვაჴსენოთ სიტყუად იგი დღესასწაულისაჲ ამის და აღსრულებასა მას დღისა მის შეერგასისასა იყვნეს ყოველნი ერთბამად. **ნა** იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა ქარისა სასტიკისაჲ. **ნა** აღივსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი სხდეს და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა. **ნა** აღივსნეს ყოველნი სულითა **წმიდითა**.

15. «და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად»(საქმ.2,4), და საკრველი იგი დიდი იყო: სიტყუათა მეტყუელებაჲ, რომელნი არასადა ესწავლნეს, და სასწაული იგი ურწმუნოთათჳს იყო, არა – მორწმუნეთა, რათა იყოს შემასმენელ ურწმუნოთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «სხვთა ენითა და ბაგითა უცხოთა ვეტყოდი ერსა ამას, და არცა ესრეთ ისმინონ ჩემი, – იტყვს **ოფალი**»(ეს.28,11; 1კორ.14,21).

სეო რაჲ ჳმად ესე, შეკრბა სიმრავლჳ ერისაჲ და შეშფოთნეს, რამეთუ ესმოდა თითოეულსა კაცად-კაცადსა მათსა თჳსი სიტყუად, იტყოდეს რაჲ იგინი.

ნამას ადგილსა ჯერ-არს პერობაჲ სიტყუასაჲ და გულისწმის-ყოფაჲ. **ნა**უ ვითარ განი-

ყოს სიტყუად ესე წერტილითა, რამეთუ არს რაჲმე საეჭჳ მას შინა. **წინათუ** ესრეთ ითქუას, ვითარმედ: «ესმოდა კაცად-კაცადსა თჳსი სიტყუად, ვითარმცა ვინ თქუა, თუ ერთი ჳმად გამოვიდოდა პირთა მათთაგან და მრავალნი ენანი ისმოდეს».

ნა რათა ესრეთ ვთქუა, ვითარმედ: «ერთი იგი ჳმად მრავალ ჳმა იქმნებოდა», ანუ თუ «ესმოდა», აღინერტოს, რათა მუნ განისუენოს მკითხველმან და მერმელა თქუას, ვითარმედ: «თჳსი სიტყუად, იტყოდეს რაჲ იგინი»(საქმ.2,6), რათა იყოს ესრეთ, ვითარმედ «იტყოდეს თჳსსა სიტყუასა მსმენელთასა», ესე იგი არს «ენათა უცხოთა», რამეთუ ესრეთ უმჯობესად მიჩნს, რამეთუ პირველი იგი უფროსად მსმენელთაჲ მათ არს საკრველი, ვიდრელა მეტყუელთაჲ, ხოლო მეორე ესე – მეტყუელთაჲ, რომელთა მთრვალობასაცა სწამებდეს, რამეთუ იგინი აჩუენებდეს სასწაულსა მას სულისა **წმიდისასა**.

16. საქებელ არს უკუე პირველიცა იგი განყოფად ენათაჲ(ოდეს-იგი «აშენებდეს გოდოლსა, რომელნი-იგი ბოროტად და უღმრთოებით შეთქუმულ იყვნეს»(შესქ.11,1), ვითარცა-ესე ანცა ვიეთნიმე იკადრებენ ბოროტთა ზედა საქმეთა შეთქუმულებად). **ნა**შინ უკუე განყოფასა თანა სიტყუათასა განიყო ერთობაჲცა განზრახვისა მათისაჲ და საქმჳ იგი, რომელსა ჴელ-ეყო, დაიწსნა. **ნა**ლო უმეტესად საქებელ არს და საგალობელ ან აღსრულებული ესე საკრველებად, რამეთუ ერთისა მის სულისაგან მრავალთა ზედა მიეფინა და კუალად ერთად აგებულებად შეკრბების.

ნა არს განყოფილებაჲ შადლთაჲ, რომელსა-იგი სხუად შადლი უჳნ განრჩევაჲ უაღრესისა, რამეთუ ყოველნივე სულიერნი შადლნი საქებელ არიან.

ნალო კეთილ არს იგიცა, რომლისათჳს **ნა-ვით** იტყვს: «დანთქენ იგინი, **ოფალი**, და მიმოდაყვენ ენანი მათნი»(ფს.54,10), «რამეთუ შეიყუარეს ყოველი სიტყუად დაქცევისაჲ და ენად მზაკუვარი»(ფს.51,6) განცხადებულად აწინდელთა ამათ ენათა მოასწავებდა, განმყოფელთა იმრთეებისათა, თანამდებთა მათ ყოვლისა ბოროტისათა და ნაწილთა **წოჯოხეთისათა**.

ნა უკუე ესე სიტყუანი ესოდენ იყვნენ.

17. **ნა**ლო ეტყოდეს მაშინ მოციქულნი თითო-სახითა მით ენითა დამკვდრებულთა **სერუსალემს პურიათა**, კაცთა იმრთისმოშიშთა, **სპარსთა** და **უჟიკთა** და **ელამიტელთა**,

ეგვბელთა და ლუბიელთა, კრიტელთა და არაბიელთა, მკდრთა ჰუამდინარისათა და ჩემთა ამათ კაბადუკიელთა და ყოველთა განთესულთა, რომელნი არიან ცასა ქუეშე ჰურიანი, რომელნი მუნ შეკრებულ იყვნეს. ჯერ-არს ცნობად, თუ ვინ იყვნეს იგინი, ანუ რომლისა ტყუეობისანი.

ქამეთუ **ეგვბისა და ჯაბილოვნისა** ტყუეობად გარდასრულ იყო და ადრევე მოქცევი-თა მით ერისადათა დაჰსნილ იყო, ხოლო **ჰრომ-თა** მიერ ყოფადი იგი არდა ქმნილ იყო, არამედ ეგულეობდა ყოფად მისაგებელად განდგომილებისა მათისა, რომელი შაცხოვარსა ჴრისტეს აჩუენეს. ოსრეთ უკუე გულისჴმა-იყოფების, თუ **ნნტიოხოზის** მიერ ქმნილისა მის ტყუეობისანი იყვნეს, რომელი-იგი არა ფრიად უპირატეს იყო ჟამთა ამათ.

ჴოლო უკუეთუ ვინ ამას სიტყუასა არა შეიწყნარებდეს(რამეთუ არა ძუელ იყო ტყუეობად იგი, არცა მრავალთა ქუეყანათა სოფლისათა განფენილ), ესეცა ვთქუათ, ვითარმედ მრავალგზის ქმნილ იყო წარტყუენვად ერისა მის, ვითარცა **ოზრა** მოასწავებს, და რომელნიმე ტომნი **ებრაელთანი** მოქცეულ იყვნეს და რომელნიმე შორიელთა მათ ქუეყანათა

დაშენებულ და განთესულ მრავალთა შორის წარმართთა. თა მათგანნი იყვნეს მაშინ შემოკრებულ და სასწაულისა მის დიდისა მხილველ.

18. თა ესე საძიებელი წარმოვიღეთ სწავლის-მოყუარეთათჳს არა ცუდად. თა სხუადცა თუ რამე საჴმრად დიდებულისა ამის დღისა მოიპოვოს ვინ, იყოს იგი თანაშემწე ჩუენდა და მოყუას.

19. ჴოლო ან კრებად აღვასრულოთ(რამეთუ კმა არს სიტყუათა ამათ წარმოთქუმაჲ), ხოლო დღესასწაული ესე ნუმცა სადა განგუე-შორების. სრამედ ვდღესასწაულობდეთ ან ჳორციელადცა, ხოლო შემდგომად მცირედისა ყოვლითურთ სულიერად, ოდეს-იგი საიდუმლოჲსა მის სიტყუანი გუეუნყენ განცხადებულად-რე და წმიდად ჴავადისა მის მიერ სიტყვსა და იმრთისა და ოფლისა ჩუენისა შესუ ჴრისტესა, ჴომელი-იგი არს ჴემმარიტი ცხოვნებულთაჲ დღესასწაული და სიხარული, რომლისა თანა შუენის ყოველივე დიდებაჲ და პატივი დაუსაბამოსა შამასა ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნი-სამდე, ამენ!

